

Ketevan Sikharulidze

ქეთევან სიხარულიძე

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Transformation Forms of European and Georgian Heroic Epics

ევროპული და ქართული საგმირო ეპოსების ტრანსფორმაციის ფორმები

The heroic epic is the original genre of the oral tradition of all peoples. Its further expansion and ideological and substantive changes were determined by the political and socio-cultural environment that formed over time, the state's development level, and the type of society.

The "classic" epic has already been demythologized. The epic hero fights for the benefit of society, so he gets the name of a national hero. A religious subtext appears, giving depth to the heroic ideal. This was facilitated by the formation of statehood and the literary processing of folk-art texts. This defines the difference between the heroic epics of large and small countries.

Keywords: Heroic epic, mythology, European literature, classical epic

საკვანძო სიტყვები: საგმირო ეპოსი, მითოლოგია, ევროპული ლიტერატურა, კლასიკური ეპოსი

თითქმის ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერების გამორჩეული ჟანრია საგმირო ეპოსი, რომელიც მითოლოგიის წიაღში ჩაისახა. ეპოსის წარმოშობაში წამყვანი როლი ეკუთვნის მითოლოგიური ცნობიერების ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს – სამყაროში არსებული ძალების დაყოფას „თავისად“ და „უცხოდ“ და მათ დაპირისპირებას: ყველაფერი „თავისი“ აღიქმება კარგად, სასიკეთოდ, ყველაფერი „უცხო“ სახიფათოა და მტრულად განწყობილი. ამ წარმოდგენების საფუძველზე, ბუნებრივია, არქაულ ეპოსებში ძველი საზოგადოებების, ტომების ურთიერთობები და დაპირისპირებები ასახულია მითოლოგიური კატეგორიებით. ეპიკური დრო ესაზღვრება პირველქმნადობის, სამყაროს მოწყობის პროცესებს, როცა წინაპრების მონაწილეობით იქმნებოდა კულტურის პირველი ელემენტები. ე. მელეტინსკი თვლიდა, რომ საგმირო ეპოსის წარმოშობა განაპირობა მითებმა კულტურული გმირების შესახებ, რომლებიც ხშირად გმირობის ფასად მოიპოვებდნენ საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელ საგნებსა და ცოდნას (Мелетинский, 1963, გვ. 25).

გვაროვნულ წყობილებაში განსაკუთრებით წამოიწია წინ მტრულ ძალებთან ბრძოლის თემამ, რომელმაც საზოგადოების წარმოსახვაში ისტორიული რეალობის ფასი შეიძინა. მეზრძოლიც თავისი ბუნებით, აღნაგობითა და ძალმოსილებით ენათესავებოდა მითოლოგიურ გმირს. მისი მოწინააღმდეგეები იყვნენ მითოსური არსებები, ურჩხულები, დრაკონები. მოქმედების მსვლელობაში მონაწილეობდნენ მითოლოგიური პერსონაჟები. ეპიკური ნაწარმოების შინაარსის მთავარი მომენტებია ბრძოლა და გამარჯვება. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ბრძოლის შინაარსი სხვადასხვა იყო, მაგრამ არის ერთი რამ, რაც აერთიანებს ბრძოლის ხასიათს ეპოსის განვითარების ყველა ეტაპზე: ბრძოლას აქვს საერთო სახალხო და სახელმწიფოებრივი, უფრო გვიანდელ ისტორიულ ეპოქებ-

ში მკაფიოდ გამოხატული კლასობრივი ხასიათი. იგი მიმდინარეობს არა ვიწრო მიზნისთვის, არამედ ხალხის მაღალი იდეალებისთვის მოცემულ ეპოქაში (Ирощи, 1955, გვ. 30).

საგმირო ეპოსის შემდგომ გაფართოებასა და იდეურ-შინაარსობრივ ცვლილებებს განაპირობებდა დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული გარემო. საგმირო ეპოსის პერსონაჟთა ხასიათებს, მოქმედების მიზანსა და ასპარეზს განსაზღვრავდა სახელმწიფოს განვითარების დონე და მათი მატარებელი საზოგადოების ტიპი. სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში თავს იჩენს ეროვნულობის განცდაც. ესაა დიდი და მცირე ქვეყნების საგმირო ეპოსების განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი.

ხალხთა დიდ გადასახლებებს მოჰყვა დასავლეთ ევროპაში ახალი საზოგადოებების, მათი ერთობებისა და სახელმწიფოების შექმნა, რის შედეგადაც დაჩქარდა ქრისტიანიზაციის პროცესი. ევროპაში ფეოდალური საზოგადოების განვითარება რამდენიმე ეტაპად წარიმართა. V-X საუკუნეებში მოსახლეობა ძირითადად სოფლებში ცხოვრობდა, წამყვანი იყო მიწათმოქმედება, ფეოდალებს ჰქონდათ საკმარისი დამოუკიდებლობა. XII-XV საუკუნეებში გაჩნდა ქალაქები, ჩამოყალიბდა ფეოდალური საზოგადოების სტრუქტურა, რომლის სათავეში იდგა მეფე.

შუა საუკუნეების ევროპაში განსაკუთრებული პოპულარობა შეიძინა საგმირო ეპოსმა, როგორც სარაინდო იდეოლოგიის მატარებელმა, რადგანაც რაინდობა მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოების ყველა ფენაში. სახალხო მომღერლებმა (ჟონგლიორებმა, ტრუბადურებმა) გადაამუშავეს ეს სიმღერები, რომლებმაც თანდათან მიიღეს სიუჟეტურად და სტილისტურად ორგანიზებული სახე.

ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული საგმირო ეპოსმა ევროპაში კლასიკური ფორმა მიიღო XI საუკუნიდან და გაგრძელდა XIV საუკუნემდე. ამავე დროს დაიწყო მათი ჩაწერაც. კლასიკურ ეპოსში, რომელიც დიდ წილად ისტორიულ გადმოცემებს ემყარებოდა, ინტენსიურად მიმდინარეობს დემითოლოგიზების პროცესი. დემონურ პერსონაჟებს ცვლიან რეალური მტრები და მათთან კონფლიქტში ისტორიული მოვლენებიც აისახება. ეპიკური გმირი გამოირჩევა არა გოლიათური აღნაგობითა და არაჩვეულებრივი ღონით, არამედ მამაცობითა და ბრძოლის ხელოვნებით. იგი იბრძვის საზოგადოების სასარგებლოდ, ამიტომ იძენს ეროვნული გმირის სახელს და მისი ბრძოლის ასპარეზიც ფართოვდება. ჩნდება ახალი კოლიზიები, ზნეობისა და ღვთისმოსიზების ქრისტიანული პლასტები, რაც მიზანმიმართულს ხდის ეპიკური პერსონაჟის აქტივობას და სიღრმეს მატებს გმირულ იდეალს. თანდათან ყალიბდება ფეოდალური სულისკვეთებაც. ფეოდალური მოვალეობის შესრულება რაინდის უმაღლესი ქმედებაა, როცა მიზნის მისაღწევად მსხვერპლის გაღებაც სავალდებულოა. ამის კარგი მაგალითია ფრანგული ეპოსი „სიმღერა როლანდზე“, რომელმაც ფეოდალური იდეალების განდიდებით ეთიკური ძალაც შეიძინა. მასში უკვე ჩანს პატრიოტიზმი და ნაციის გაერთიანების ტენდენცია (Bacon, 1914, გვ. 10)

ძველ ინგლისურ ეპოსს „ბეოვულფს“ საფუძვლად უდევს თქმულებები სახალხო გმირის – ბეოვულფის შესახებ. ვარაუდობენ, რომ იგი გაამთლიანეს და ლიტერატურულად დაამუშავეს იმ პერიოდში, როცა ანგლო-საქსებმა მიიღეს ქრისტიანობა, კერძოდ, VII საუკუნის შუა ხანებში (ბეოვულფი, 1989, გვ. 197). ამის შედეგად ეპოსი გახდა მრავალშრიანი და მთავარი პერსონაჟის სახეც გართულდა. ნაწარმოების პირველ ნაწილში იგი საგმირო ეპოსის ტიპიური გმირია, მეორეში კი უკვე ხალხის წინამძღოლად, მეფედ გვევლინება. ეპოსში დახატული სამხედრო ყოფა მიუთითებს, რომ ის გვაროვნული წყობის დაშლის პერიოდში შეიქმნა, მაგრამ ფეოდალიზმის ეპოქაში, VIII-IX საუკუნეებში ლიტერატურულად დამუშავდა და ჩამოყალიბდა, როგორც წიგნიერი კულტურის პროდუქტი, რომელშიც აშკარაა ქრისტიანული მრწამსის გავლენა. მესამე დრაკონთან ბრძოლისას ბეოვულფის მიზანია საკუთარი ხალხის გათავისუფლება ურჩხულისგან, რასაც უკვე აქვს პატრიოტული დატვირთვა. ამ ნაწარმოებში ასევე ჩანს ისტორიული წარსულის გამოძახილი: ჩრდილო-გერმანელი ხალხების როგორც ურთიერთდაპირისპირება, ისე მათი კონფლიქტები სამხრეთ-გერმანელ მეზობლებთან (Алексеев, 1943, გვ. 22).

მსგავს პროცესებს ასახავს გერმანული საგმირო ეპოსი, რომლის გამთლიანება და გადამუშავება დაიწყო მაშინ, როცა საფრანგეთში უკვე არსებობდა სარაინდო რომანები. ამან გავლენა მოახდინა მასზე. ხალხური თქმულებების საფუძველზე ჩამოყალიბებული გერმანული ეპოსის შინაარსი საკმაოდ ძველია, გმირები კი უკვე სარაინდო ტრადიციების სტილში არიან დახატულნი. მითოლოგიური მოთხრობები გვხვდება უფროსი და უმცროსი ედას სახელით ცნობილ წიგნებში. მათ შორისაა სიგურდის ამბავი, რომლის რამდენიმე ვერსიაა ცნობილი. ვერსიები სხვადასხვა ეპოქასა და საზოგადოებას განეკუთვნება და მათ შორის განსხვავებას სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს. სიგურდი უკვე ზიგფრიდად სახელდებული ხდება „ნიბელუნგების სიმღერის“ პერსონაჟი. ამ საგმირო ეპოსის უკანასკნელი რედაქცია შექმნა სასახლის ლიტერატურის წარმომადგენელმა, უცნობმა პოეტმა XII საუკუნის დასასრულს, ფეოდალიზმის აყვავების პერიოდში. მასში აისახა იმ დროის ფეოდალური და ქრისტიანული ყოფის სურათები და სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ეს ისტორია მოდიფიცირებულია შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი სახეებითა და სტილით. სიმღერაში ახლებურადაა დამუშავებული ხალხური ეპოსიდან აღებული პერსონაჟები და მოტივები. ისინი ნაკარნახევია ფეოდალური საზოგადოების სამხედრო და სამოქალაქო ცხოვრებითა და იდეოლოგიით. წამოწყებულია რელიგიის საკითხიც. ჩვენს დროში ზიგფრიდის მითმა მიიღო მრავალნაირი ფორმა. შეიქმნა უილიამ მორისი პოემა „სიგურდ ველსუნგი“, ვაგნერის ოპერა „ნიბელუნგების ბექედი“, ვ. ჯორდანის „ზიგფრიდის საგა“, ემანუელ გეიბლის ნაწარმოები „ბრიუნჰილდას ტრაგედია“ (Baldwin, 2009).

XV-XVII სს.-ის დასაწყისი გვიანი ფეოდალიზმის ხანაა, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების, ხელოსნობისა და სავაჭრო ურთიერთობების განვითარების დრო. ამან გამოიწვია ღრმა ცვლილებები პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. თავის მხრივ ამას მოჰყვა ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავება. გაიზარდა გმირის ასპარეზი, აქცენტები გადავიდა საზოგადოებისადმი გმირის დამოკიდებულებაზე, მასშტაბური გახდა მისი მოქმედებები და შედეგები, შესაბამისად, გაიზარდა ნაწარმოების მოცულობა. ლიტერატურული გადამუშავების პროცესში შეიქმნა პერსონაჟთა ახალი ხასიათები, შინაარსში შემოვიდა ისტორიული გარემო და ეროვნულობის მუხტი. ამ პერიოდების მიხედვით შეიძლება ვისაუბროთ შუა საუკუნეების ლიტერატურის წამყვანი ჟანრის – საგმირო ეპოსის ცვლილებებზე. ადრეფეოდალურ ეპოქაში ჯერ კიდევ დომინირებს ხალხური საგმირო ეპოსი, რომელიც თანდათან გადადის სარაინდო რომანში. ეკლესიასაც მოსწონს ამ ტიპის ნაწარმოებები, რადგან აქ გმრობა აღწერილია სარწმუნოების სახელით.

ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებებში (ფრანგული, ანგლო-საქსური, გერმანული ეპოსები, ასევე ისლანდიური საგები) აისახა ხალხური მოტივები და სახეები, მაგრამ ისინი საგრძნობლად შეიცვალა: გაფართოვდა მათი სიუჟეტი, შინაარსი და მოცულობა. ამას ხელი შეუწყო სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებამ და ხალხური შემოქმედების ტექსტების ლიტერატურულმა გადამუშავებამ. შუა საუკუნეებში ჩნდება „წიგნური ეპოსი“, რომელიც ემყარება ზეპირ ტრადიციას, მაგრამ იღებს თავისებურ ფორმას ლიტერატურული გადამუშავების შედეგად. საგულისხმოა, რომ ამ ეპიკურ ნაწარმოებებს არ ჰყავთ ავტორი და ანონიმურობა ამ შემთხვევაში პრინციპულია. ის პირები, ვინც გააერთიანა, გააფართოვა და გადაამუშავა პოემები, თავს არ თვლიდნენ მათ მიერ დაწერილი ნაწარმოებების ავტორებად, რადგან ყველასათვის ცნობილ ტრადიციულ ეპიკურ სიუჟეტზე მუშაობა შუა საუკუნეებში არ აღიქმებოდა ავტორობად არც საზოგადოებისა და არც თავად პოეტის მიერ.

შედარებით-ტიპოლოგიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ეპიკური შემოქმედების განვითარება (დიდი მასშტაბით – დასავლეთი-აღმოსავლეთი) ემორჩილებოდა საერთო კანონზომიერებებს და ჰქონდა რამდენიმე ერთგვაროვანი ეტაპი, რომელიც წინა ეტაპთან მიმართებაში ტიპოლოგიურად მემკვიდრეობითი იყო (Неклюдов, 2015, გვ. 125).

ქართულ ფოლკლორში საგმირო ეპოსი წარმოდგენილია უძველესი ძეგლით – ამირანის თქმულებით, რომლის შინაარსი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა,

მაგრამ იმის გამო, რომ ის წერილობით არ დაფიქსირებულა, ჩვენთვის უცნობია მისი ტრანსფორმაციის ფორმები. სავარაუდოდ, ამირანის ამბავი თავდაპირველად შეიქმნა, როგორც მითი, რომელშიც აისახა დაპირისპირებულთა ბრძოლის უნივერსალური მოდელი. მოგვიანებით ჩამოყალიბდა თქმულებათა ციკლი, რომელმაც საბოლოოდ ეპოსის სახე მიიღო.

ქართულ ლიტერატურაში XI საუკუნეში საერო ნაკადი იწყება მოსე ხონელის საგმირო-სარაინდო რომანით „ამირანდარეჯანიანი“, რომლის მნიშვნელოვანი წყარო ამირანის ხალხური ეპოსია. საყურადღებოა, რომ ხალხური თქმულებების საფუძველზე საგმირო-სარაინდო თხზულებები ქართულ მწერლობასა და ევროპულ ლიტერატურაში ერთსა და იმავე პერიოდში იქმნება, კერძოდ, XI-XII საუკუნეებში, რასაც ალბათ ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბებისა და ლიტერატურული პროცესების ერთგვაროვნება განაპირობებდა. მოსე ხონელის ნაწარმოებსა და ხალხურ თქმულებას შორის მსგავსება არის როგორც პერსონაჟთა სახელების, ისე სიუჟეტური ეპიზოდების დონეზე. ხალხური მასალის გამოყენებით ავტორი ქმნის ნაწარმოებს სარაინდო რომანის კანონზომიერებებით, რომელშიც ფეოდალური ურთიერთობებიც აისახება. იგი ცალკეული მოთხრობების კრებულაა, რომლებსაც აერთიანებთ ამირან დარეჯანიანის ამბავი. მაგრამ აქ ვერ ვხედავთ გმირის სახის განზოგადებას და ეროვნული ნიშნით ამადლებას. თხზულების მხატვრული ღირებულება ბევრად ჩამორჩება არათუ ევროპულ საგმირო ეპოსებს, არამედ ქართული ხალხურ ეპოსს სტრუქტურისა და სახეების სრულყოფის თვალსაზრისით. *„მწიგნობრული თხზულების გმირი ამირან დარეჯანის ძე გაცილებით დაბალი მხატვრული სახეა, ვიდრე ხალხური შემოქმედების მიერ წარმოსახული ღვთის ურჩი ამირანი“* (ჩიქოვანი, 1965, გვ.77).

დროთა განმავლობაში არქაულ პლასტებს შეერია შედარებით ახალი მოტივები, რამაც განაპირობა მთავარი პერსონაჟის წინააღმდეგობრივი ხასიათი. დღეს ძნელია იმის დადგენა, რა ცვლილებები მოხდა ტექსტის შინაარსსა და სტრუქტურაში, რადგან თქმულების ჩანაწერები მოგვეპოვება XIX საუკუნიდან. ამ პერიოდიდან იწყება ხალხური ეპოსის ტექსტში ჩარევა. ზოგჯერ პუბლიკაციების ავტორები თვითნებურად ცვლიდნენ ჩანაწერს, რედაქტირებული ტექსტი კი გავლენას ახდენდა თხზულებაზე და მის ცალკეულ მოტივებზე.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ განაპირობა ამირანის სახის ახლებური გააზრება. ამ დროს დაიწყო მიჯაჭვული გმირის გაიდევლება და მისი გათავისუფლება სოციალური თანასწორობის აღდგენას დაუკავშირდა. ეროვნული ძირების წარმოსაჩენად საჭირო გახდა საერთო ქართველური გმირის სახე, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა ექნებოდა. მე-20 საუკუნემ წინა საუკუნიდან მემკვიდრეობით მიიღო ამირანის გამორჩეული გმირული პათოსი და სამშობლოს თავისუფლების იდეის მატარებელ სახედ დამკვიდრდა ქართულ ლიტერატურაში, თუმცა აქაც ვერ იქცა მასშტაბურ გმირად. ნაწარმოების ქრისტიანიზაციის პროცესიც ვერ განვითარდა სრული სახით. ამირანის თქმულებაში ქრისტიანული კონცეპტის შესაბამისი ელემენტები სახეზეა. პერსპექტივაში მათ გაშლა-განვითარებას უნდა მოჰყოლოდა ახალი, ქრისტიანული სემანტიკის მქონე პერსონაჟებისა და ეპიზოდების გაჩენა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შინაარსისა და ფორმის ურთიერთშემოქმედება მოგვეცემდა ქრისტიანობის შესაბამისად ტრანსფორმირებულ ვერსიას. მაგრამ დაწყებული ტენდენცია ვერ განვითარდა, ამ ელემენტებმა ვერ მიადწიეს სტადიალურ განვითარებას (ისინი მოტივებადაც ვერ ჩამოყალიბდნენ). ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ამირანის თქმულების ქრისტიანიზაცია ვერ განხორციელდა (სიხარულიძე, 2001, გვ. 210).

თავად ამირანი დარჩა მითო-ეპიკურ სახედ. ეს იმას ნიშნავს, რომ მითოლოგიურმა პერსონაჟმა მითის ეპოსად ქვევისას მიიღო ეპიკური გმირის ნიშნები. ამირანი უპირისპირდება ღმერთს (რაც უძველესი მითოური პლასტია ამ ეპოსში) და ამპარტავნებით შეპყრობილს ავიწყდება თავისი მისია, თუ რისთვის მიენიჭა ღონე, ფიზიკური შესაძლებლობა. თხრობაში შემოვიდა ჟანრის დამახასიათებელი ეპიზოდები, მაგრამ პატარა ქვეყანაში კუთხური დანაწევრების პირობებში ნაწარმოებმა ვერ მიიღო საგმირო ეპოსის ის მასშტაბი, რომელიც დამახასიათებელია ევროპული ეპოსებისთვის. „ამირანიანიში“ არ ჩანს სოციალური გარემო, საზოგადოება, რომელსაც გმირი უნდა წარმოად-

გენდეს. სამაგიეროდ ქართულმა ცნობიერებამ საგმირო ეპოსში შემოიტანა სრულიად განსხვავებული პლასტები. მან პრობლემა ზნეობრივ პლანში გამოკვეთა. ამირანის სახეში წინ წამოსწია გონიერებისა და მადლიერების დეფიციტი, რამაც იგი ტრაგიკულ პერსონაჟად ჩამოაყალიბა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბეოვულდი (1989). ანგლო-საქსური საგმირო ეპოსი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- სიხარულიძე, (2001). სიხარულიძე, ქ. ამირანის თქმულების ქრისტიანიზაციის საკითხისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, V, 210-214. ქუთაისი: „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
- ჩიქოვანი, (1965). ჩიქოვანი, მ. ქართული ეპოსი, წ. 2, 46-109. თბილისი: „მეცნიერება“.
- Bacon, L. (1914). *The Song of Roland*, Introduction, 7-11, London: Oxford University Press.
- Baldwin, J. (2009). *The Story of Siegfried*, the foreword, *The Project Gutenberg EBook*.
<https://www.gutenberg.org/files/6866/6866-h/6866-h.htm>
- Алексеев, М.П. (1943). Беовульф в кн. История английской литературы, т.1, 22-276 М.-Л.: Издательство Академии Наук СССР.
- Мелетинский, Е.М. (1963). Происхождение героического эпоса, 21-95. Москва: Восточной Литературы.
- Неклюдов, С.Ю. (2015). Поэтика эпического повествования, 125-136. Москва: «Форум».
- Пропп, В.Я. (1955). Русский героический эпос, 30-56. Ленинград: Издательство Ленинградского Университета.

References:

- Alekseev, M. (1943). *Beowulf v kn. Istoria angliskoi literature*. [Beowulf in the book History of English Literature]. Moscow-Leningrad: Publisher Academy of Sciences of USSR.
- Bacon, L. (1914). *The Song of Roland*, Introduction, 7-11, London: Oxford University Press.
- Beovulpi. (1989). *Anglo-saksuri ep'osi*. [Beowulf, Anglo Saxons heroic epic]. Tbilisi: „Sabch'ota Sakartvelo“.
- Baldwin, J. (2009). *The Story of Siegfried*, the foreword, *The Project Gutenberg EBook*.
<https://www.gutenberg.org/files/6866/6866-h/6866-h.htm>
- Meletinski, E. (1963). *Poiskhojdenie geroicheskogo eposa*. [The Origin of Heroic Epic]. Publishing House of Eastern Literature.
- Nekludov, S. (2015). *Poetika epicheskogo povestvovania*. [The Poetics of Epic Narrative]. Moscow: “Forum”.
- Propi, V. (1955). *Ruski geroicheski epos*. [Russian Folk Epic]. Leningrad: publisher Leningrad University.
- Sikarulize, K. (2001). *Amiranis tkmulebis krist'ianizaciis sak'itkhisatvis. Kartveluri memk'vidreoba, V*. [The problem of Cristianization of the story about Amirani, Kartvelian Heritage, V]. Kutaisi: “Kutaisi State University”.
- Chikovani, M. (1965). *Kartuli ep'osi, t'omi 2*. [Georgian Epic, book 2]. Tbilisi: “Mecniereba”.

<https://www.gutenberg.org/files/6866/6866-h/6866-h.htm>

The Project Gutenberg EBook of The Story of Siegfried, by James Baldwin

THE STORY OF SIEGFRIED

By James Baldwin

New York Charles Scribner's Sons

Title: *The Story of Siegfried*

Author: James Baldwin

Release Date: June 2, 2009 [EBook #6866]